GCSD TRC

პალესტინის ისლამური ჯიჰადი

აღწერითი კვლევა

პალესტინის ისლამური ჯიჰადი

აღწერითი კვლევა

ავტორი: თინათინ გიგაური

თბილისი

2021

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

GCSD-სთან არსებული ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC) არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ან ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) პოზიციას. TRC - ს წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

TRC GCSD

აბსტრაქტი

ჰარაკატ ალ-ჯიჰად ალ-ისლამი ალ-ფილასტინი, იგივე პალესტინის ისლამური ჯიჰადი (PIJ) პალესტინის ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომლის მთავარი დაფინანსების წყაროს ირანი და სირია წარმოადგენენ. დღეის მდგომარეობით PIJ ღაზას სექტორში რიგით მეორე უდიდესი ტერორისტული დაჯგუფებაა, ჰამასის შემდეგ. ტერორისტულ დაჯგუფებას ფათი შიქაქიმ და მის გარემოცვაში მყოფმა რადიკალმა პალესტინელმა სტუდენტებმა ჩაუყარეს საფუძველი. 1979 წლის ირანის რევოლუციის გავლენის ქვეშ მყოფ შიქაქის მართლაც სჯეროდა, რომ პალესტინის განთავისუფლება არაბული და მუსლიმური სამყაროს გაერთიანების წინაპირობად იქცეოდა. შესაბამისად, პალესტინის ისლამური ჯიჰადი პოლიტიკურ ისლამთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაციონალიზმით ხასიათდება, ხოლო მისი მიზნის მიღწევის ძირითად მეთოდს სამხედრო და პოლიტიკური ძალის გამოყენება წარმოადგენს. ორგანიზაცია ოპერირებს ისრაელის, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის, ლიბანისა და სირიის ტერიტორიაზე.

პალესტინის ისლამური ჯიჰადის შესწავლა საშუალებას გვაძლევს განსხვავებული კუთხით შევხედოთ პოლიტიკურ ისლამს და მის ძალადობრივ მხარეს. PIJ-ის სამხედროები ერთ დროს საძმოს რიგებში ირიცხებოდნენ, თუმცა შემდეგ ინტელექტუალური და პოლიტიკური დისტანცია არჩიეს, თავად ორგანიზაციის იდეა კი ეგვიპტესა და პალესტინაში მუსლიმთა საძმოს რელევანტურობის კრიტიკის საფუძველზე აღმოცენდა. მოძრაობის დამფუძნებლებმა ისლამისა და ნაციონალიზმის დაჯგუფების მთავარ იდეოლოგიურ საფუძვლად გამოყენებით მართლაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს თანამედროვე ისლამური პოლიტიკის ფორმირებაში. სწორედ ნაციონალიზმისა და შეირაღებული ბრძოლის შერწყმამ პალესტინის ისლამურ ჯიჰადს საშუალება მისცა საბოლოო სახე მიეღო და მუსლიმთა საძმოს აუღელვებელ პოლიტიკურ პოზიციას შეპირისპირებოდა ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია პალესტინის ისლამური ჯიჰადის ჩამოყალიბების ისტორია, მისი იდეოლოგიური საფუძვლები, ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციონირების თავისებურებები, კავშირი სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან, ეკონომიკური და სამხედრო სიმძლავრე და განხორციელებული ტერორისტული აქტები.

აბრევიატურები

PIJ - პალესტინის ისლამური ჯიჰადი

PA - პალესტინის ხელისუფლება

IDF - ისრაელის ოფიციალური არმია

PLO - პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია

PFLP - პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი

DFLP - პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტი

IRGC - ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსი

IDF - ისრაელის თავდაცვის ძალები

სარჩევი

შესავალი 5

პალესტინის ისლამური ჯიჰადი - ორგანიზაციის ფორმირება 6

ფათი ალ შიქაქი - იდეოლოგიური პორტრეტი 10

ინტიფადის გავლენა პალესტინის ისლამურ ჯიჰადზე 12

ორგანიზაციის დოქტრინა და მიზნები 15

ორგანიზაციული მოწყობა 16

დაფინანსება 20

სხვა ორგანიზაციებთან კავშირი 21

ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება 22

პალესტინის ისლამური ჯიჰადის ძალადობრივი მხარე 23

როგორი სახელმწიფოს აშენება სურს PIJ-ს 28

დასკვნა 31

გამოყენებული ლიტერატურა 33

შესავალი

ისლამური ჯიჰადის მოძრაობა 1970-იან წლებში აღმოცენდა. მის დამფუძნებლებად მუსლიმთა საძმოს პოლიტიკური პოზიციით უკმაყოფილო და რადიკალურად განწყობილი პალესტინელი სტუდენტები მოიაზრებიან, რომლებიც მაშინ განათლებას ეგვიპტის უნივერსიტეტში იღებდნენ. ეს ახალგზარდები გამოირჩეოდნენ ინტელექტითა და კრიტიკული აზროვნებით, ყურადღებით ეცნობოდნენ რევოლუციურ ლიტერატურას მარქსიზმისა და ეგზისტენციალიზმის შესახებ. ამ ახალგაზრდებს შორის წამყვანი ფიგურა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი - ფათი ალ შიქაქი გახდა, რომელიც მოგვიანებით პალესტინის ისლამური ჯიჰადის ლიდერის პოზიციასაც ირგებს.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე შიქაქი და მისი ახლო გარემოცვა იწყებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბრუნებას, მათ შორის ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე, და აქტიურად ერთვება პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობაში. მათი აზრით, მუსლიმთა საძმო საკმარისი ინტენსივობით არ იბრძოდა ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ და სწორედ ეს გახდა ამ ახალგაზრდების საძმოსგან გამოყოფის მთავარი მიზეზი (Barsky, The Islamic Jihad Movement in Palestine, 2002; Shallah & al-'Ayid, 1999). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისლამური ჯიჰადის მოძრაობაში ნაციონალისტური ასპექტები დასაწყისშივე ღრმად იყო ფესვგადგმული.

როგორც სხვა ისლამისტური მოძრაობები, ისლამური ჯიჰადიც მოექცა ირანის რევოლუციის გავლენის ქვეშ, რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად. ალ-შიქაქიზე დიდი გავლენა მოახდინა ალ-ხომეინის მიდგომამ რელიგიის, როგორც მასების გაერთიანებისა და რევოლუციური იარაღისადმი, რაც საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს როგორც მის მოწოდებებში, ისე მის ინტერვიუებსა და ნაწერებში (Barsky, The Islamic Jihad Movement in Palestine, 2002; Dot-Pouillard & Rébillard, 2013; Zreik & Mustafa, 2021).

PIJ-ის მთავარ ამოცანას ისრაელის განადგურება და ისრაელის, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის ტერიტორიაზე ისლამური პალესტინის ავტონომიური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა და წარმოადგენს. ორგანიზაცია თვლის, რომ პალესტინის მიწის ისრაელის მიერ დაპყრობა და

მართვა უფლის და ისლამის შეურაცხყოფაა, შესაბამისად პალესტინის ტერიტორიის დაბრუნება მათთვის წმინდა მისიას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, PIJ უარს ამბობს ისრაელთან მოლაპარაკებების წარმოებაზე, სრულიად უარყოფს ორი-სახელმწიფოს იდეას და წლების განმავლობაში ახორციელებს ისრაელის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ ტერორისტულ თავდასხმებს.

1990-იანი წლებიდან დღემდე პალესტინის ისლამური ჯიჰადი პასუხიმსგებელია ისრაელის წინააღმდეგ განხორციელებულ ათობით სუიციდური ტერორისტული თავდასხმისთვის. ამჟამად პალესტინის ისლამური ჯიჰადი წარმოადგენს იატაკქვეშ მოქმედ უაღრესად გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას.

პალესტინის ისლამური ჯიჰადი - ორგანიზაციის ფორმირება

დასაწყისი

როგორც უკვე ვახსენეთ, პალესტინის ისლამურ ჯიჰადს საფუძველი 1970-იან წლებში ჩაეყარა. თავდაპირველად მოძრაობის იდეა კრიტიკულად მოაზროვნე და ოკუპაციისადმი რადიკალურად განწყობილი პალესტინელი სტუდენტების გონებაში მომწიფდა და სულ მალე პოლიტიკური ხასიათიც მიიღო. სტუდენტების ამ ჯგუფს ერთმანეთთან მუსლიმთა საძმოს კრიტიკა აკავშირებდათ. გარდა სოციო-კულტურული შეხედულებების განსხვავებულობისა[1], ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მუსლიმთა საძმოს ისრაელის ოკუპაციის მიმართ ზომიერი პოლიტიკური პოზიციის გამო.[2]

ამ ახალგაზრდებს შორის იყვნენ ფათი ალ-შიქაქი და აბდ ალ-აზიზ ავდა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს პალესტინის ისლამური ჯიჰადის, როგორც მოძრაობის და ორგანიზაციის ფორმირებაში. ფათი ალ-შიქაქი ღაზას სექტორის სამხრეთით მდებარე რაფაჰის ლტოლვილთა ბანაკში მცხოვრებ ღარიბ ოჯახში დაიბადა. ახალგაზრდა ალ შიქაქი ადრეულ ასაკში დაინტერესდა პოლიტიკური

[1] მოაზროვნეების ეს პატარა დაჯგუფება თვლიდა, რომ რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ისლამის შეგონებებზე დაყრდნობით ცხოვრება, იმდენად აუცილებელი იყო თანამედროვე, რევოლუციური იდეებისადმი ღიაობა, რაც იმ დროის მუსლიმთა საძმოს გადმოსახედიდან დევიანტურ და საზოგადოებისთვის ზიანის მომტან ტენდენციად მიიჩნეოდა.
[2] იგულისხმება „პალესტინის საკითხი“. მუსლიმთა საბჭო გმობდა სიონიზმს, თუმცა უარს ამბობდა სიონისტური პროექტის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაზე.

საკითხებით და მალევე შეუერთდა მუსლიმთა საძმოს, რომელსაც იმ დროს შეიხი აჰმად იასინი მართავდა. მოგვიანებით კი პალესტინის ისლამური ჯიჰადის მომავალი ფუძემდებელი სამედიცინო განათლების მიღების მიზნით ეგვიპტეში, ალ-ზაქაზიკში მიემგზავრება. რაც შეეხება აბდ ალ აზიზ ავდას, ის არასდროს ყოფილა მუსლიმთა საძმოს წევრი. ღაზას სექტორში მდებარე ჯაბალიას ლტოლვილთა ბანაკში დაბადებული, აბდ ალ-აზიზ ავდა დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლიდა არაბულ ენასა და რელიგიურ მეცნიერებებს ქაიროში, დარ ალ-ულუმში. ორგანიზაციის ფორმირებასთან ერთად, ალ-შიქაქი გენერალური მდივნის, ხოლო ალ-აზიზ ავდა სულიერი ლიდერის როლს ითავსებენ.

„ისლამური ავანგარდები“

მოძრაობის პირველი ძირითადი ჯგუფი 1975-76 წლებში ჩამოყალიბდა, თუმცა ორგანიზაციას ოფიციალური სახელიც კი არ ჰქონდა და იმ დროისთვის „ისლამურ ავანგარდებად“ იწოდებოდნენ. საკმაოდ მწვავე იყო დებატები ორგანიზაციის შიგნით მუსლიმთა საძმოსგან გამოყოფის შესახებაც, თუმცა რაც უფრო იზრდებოდა წევრების რაოდენობა, მით უფრო აშკარა ხდებოდა გამოყოფის აუცილებლობა, რადგან დაჯგუფება უკვე აღარ შედგებოდა მხოლოდ მუსლიმთა საძმოში გაერთიანებული პირებისგან. შესაბამისად, მოხდა ორი სხვადასხვა ჯგუფის ფორმირება, რომლებსაც შეგვიძლია ისლამური ჯიჰადის მოძრაობის მშობელი ორგანიზაციებიც ვუწოდოთ: ერთი მათგანი შედგებოდა მუსლიმთა საძმოსგან გამოყოფილი და მისადმი კრიტიკულად განწყობილი ინდივიდებისგან, ხოლო მეორე ჯგუფი აერთიანებდა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის მატარებელ ახალგაზრდებს.

ირანის რევოლუცია

მუსლიმთა საძმოდან საბოლოოდ განცალკევებას ბიძგი ირანის რევოლუციამაც მისცა. ირანის რევოლუციის გავლენა ნათლად იკვეთება 1979 წელს ალ-შიქაქის მიერ გამოცემულ პოლიტიკურ მანიფესტშიც ‘ხომეინი: ისლამური გადაწყვეტა და ალტერნატივა’. მანიფესტში ალ-შიქაქი არა მარტო ღიად გამოხატავს სიმპათიას რევოლუციური ირანის ხომეინისეული მმართველობის მიმართ, არამედ მწვავედ აკრიტიკებს ეგვიპტესა და პალესტინაში მუსლიმთა საძმოს საქმიანობას.[3] აღსანიშნავია, რომ ალ-შიქაქის წიგნის გამოცემა ციხეში გატარებულ რამდენიმე

[3] ალ შიქაქის კრიტიკა მიმართული იყო მუსლიმთა საძმოს პალესტინის ეროვნულ ბრძოლაში პასიური ჩართულობისა და სამხედრო სტრატეგიის არ არსებობისკენ.

თვედაც კი დაუჯდა. ამრიგად, რამდენადაც ალ-შიქაქი იზიარებდა მუსლიმთა საძმოს იდეოლოგიას, იმდენად ეწინააღმდეგებოდა იგი მათ პოლიტიკური და პრაქტიკული ნიშნით. შესაბამისად, პალესტინის ისლამური ჯიჰადიც, როგორც ორგანიზაცია, ახალ გზას ირჩევს პალესტინის პოლიტიკური ისლამის სახით, რომელიც ჯიჰადსა და ნაციონალიზმს გააერთიანებს. პატრიოტული რევოლუციური ისლამის იდეოლოგიის ჩამოყალიბებამ საბოლოოდ განაპირობა პალესტინის ისლამური ჯიჰადის მუსლიმთა საძმოსგან სრული იდეოლოგიური და პოლიტიკური გამოყოფა (Dot-Pouillard & Rébillard, 2013).

პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმა

ციხის დატოვების შემდეგ ალ-შიქაქი აქტიურად ებმება პოლიტიკურ აქტივობებში. მისი და მისი უახლოესი გარემოცვის მთავარ სამიზნეს ღაზის სექტორში მცხოვრები რევოლუციური ისლამის იდეით დაინტერესებული ახალგაზრდები, უნივერსიტეტის სტუდენტები, პარტიზანები წარმოადგენენ.[4] სწორედ ამ პერიოდში მძაფრდება მათი კონკურენცია მუსლიმთა საძმოსთან, განსაკუთრებით ღაზას მეჩეთებში.[5] ამავე პერიოდში მომწიფდა ახალგაზრდა მებრძოლებს შორის ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული დაპირისპირების იდეაც, რომლის სათავეშიც ისევ და ისევ ფათი ალ-შიქაქის ვხედავთ. ორგანიზაციის ლიდერი, ახალგაზრდა კრიტიკოსი და ინტელექტუალი ამჯერად გამოცდილი მებრძოლისა და ღაზას სექტორში ისლამური ჯიჰადის პრაქტიკული წარმომადგენლის ამპლუაში გვევლინება.

პრაქტიკულ პოლიტიკაში ჩაბმას თან ახლდა გარკვეული სასჯელიც, ციხის სახით, თუმცა პალესტინის ისლამური ჯიჰადის წევრებმა შეძლეს და დაპატიმრებების სერია ორგანიზაციის სასარგებლოდ გამოიყენეს: ციხე მათთვის ახალწვეულების რეკრუტირების, წვრთნის, იდეოლოგიური და აღმზრდელობითი საქმიანობის სტრატეგიულ ადგილად გადაიქცა. ამან საშუალება მისცა ისლამური ჯიჰადის წევრებს ორგანიზაციაში გაეწევრიანებინათ ახალი პიროვნებები მრავალფეროვანი სამხედრო/საბრძოლო გამოცდილებით, სხვადასხვა ორგანიზაციული კუთვნილებით და პოლიტიკური ტენდენციებით. მიუხედავად განსხვავებული ბიოგრაფიებისა და მისწრაფებებისა, ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლი ისლამური

[4] ამ პირების ძირითადი დანიშნულება ორგანიზაციის საკავშირო და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაბმას და პუბლიკაციების/ჟურნალების გამოცემას გულისმხობდა.
[5] მათგან თავის დასაღწევად, მუსლიმთა საძმომ ალ შიქაქი და მისი გარემოცვა შიიზმისკენ მიდრეკილებაშიც კი დაადანაშაულა (ამის ნიადაგს ალ შიქაქის რევოლუციური ირანისადმი კარგად ცნობილი კეთილგანწყობაც იძლეოდა).

მოძრაობის იდეას პოლიტპატიმრებს შორის ერთნაირად დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ისლამური ჯიჰადის წევრებისთვის ეს დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან ახალი მებრძოლების რეკრუტირება ორგანიზაციას სამხედრო საქმეში გამოცდილებასა და პოლიტიკურ ასპარეზზე სანდოობას მატებდა (Dot-Pouillard & Rébillard, 2013)

მუსლიმთა საძმოდან საბოლოოდ გამოყოფის შემდეგ ალ-აშიქაქი და ალ-აზიზ ავდა პალესტინის ისლამურ ჯიჰადს ეგვიპტიდან კურირებდნენ, სანამ ეგვიპტის მთავრობამ ეგვიპტის ისლამური ჯიჰადის მიერ პრეზიდენტ ანვარ სადათის მკვლელობის შემდეგ PIJ-ის ხემძღვანელთა ჯგუფი 1981 წელს ღაზას სექტორში არ გადაასახლა. ამ დროის განმავლობაში ორგანიზაცია ფუნქციონირებდა როგორც იატაკქვეშა ერთეული და ისრაელის უსაფრთხოების ძალებზე სპორადულ თავდასხმებს ახორციელებდა. მოგვიანებით, 1987 წელს, ჯგუფი ღაზას სექტორიდან ლიბანში გადაასახლეს. სწორედ ლიბანში ყოფნისას ამყარებს პალესტინის ისლამური ჯიჰადის ხელმძღვანელობა კავშირს ჰეზბოლასთან[6] და სამხედრო წვრთასაც კი იღებს ირანის რევოლუციური გვარდიისგან. 1989 წელს ალ-შიქაქის ორგანიზაციის ოფიციალური შტაბი დამასკოში გადააქვს, თუმცა ისლამური ჯიჰადის ხელმძღვანელთა ნაწილი კვლავ ლიბანში რჩება. დღესდღეობით სავარაუდოა, რომ ორგანიზაციის შტაბ-ბინა განთავსებულია ღაზას სექტორში, თუმცა მისი ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია (Fletcher, 2008).

ორგანიზაციის ლიდერი

ფათი ალ-შიქაქი გახდა წამყვანი ფიგურა პატარა და უაღრესად ცენტრალიზებული ისლამური ჯიჰადის მოძრაობისთვის. ალ-შიქაქი იყო ის, ვინც კურირებდა მოძრაობის პოლიტიკურ ამბიციებს, ზედამხედველობდა ოპერატიულ და ფინანსურ საკითხებს, ამყარებდა და ინარჩუნებდა კონტაქტს პალესტინასა და რეგიონში მოქმედ სხვადასხვა ერთეულებთან. მისი მეთვალყურეობის ქვეშ ჩამოყალიბდა მოძრაობის შიდა სტრუქტურული ელემენტები, გენერალური კონგრესი, საკონსულტაციო საბჭო, სამდივნო. ეს ელემენტები თითქოს დემოკრატიულ ხასიათსაც კი სძენდა მოძრაობას, თუმცა რამდენად კარგად ასრულებდნენ ისინი

[6] სამხრეთ ლიბანში მუდმივმა ყოფნამ საშუალება მისცა PIJ-ს და ჰეზბოლას ერთობლივი თავდასხმები განეხორციელებინათ.

პრაქტიკაში თავიანთ დანიშნულებას, გაურკვეველი რჩება (Hatina, Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement , 2001).

მიუხედავად იმისა, რომ შიქაქის როგორც ქარიზმატული ლიდერის როლმა ორგანიზაციის წევრებს შორის ძლიერი იდეოლოგიური და პოლიტიკური ერთობა განაპირობა, მოძრაობის ხელმძღვანელთა ჯგუფი ხშირად აწყდებოდა პრობლემებს ორგანიზაციის შიგნით მანევრირების შეზღუდული არეალის სახით (Hatina, Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement , 2001). შესაბამისად, შიქაქი ხშირად ხდებოდა ერთპიროვნული მმართველობის ბრალდებების სამიზნე (Hatina, Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement , 2001). შიქაქის მმართველობის მიმართ ორგანიზაციის წამყვანი ფიგურების მხრიდან ღია უკმაყოფილება ნათლად მიუთითებს მოძრაობის შიგნით არსებულ განხეთქილებებზე. ამ გადაუჭრელმა განხეთქილებებმა ნეგატიური გავლენა იქონია პალესტინის ისლამური ჯიჰადის მომავალ განვითარებაზეც, განსაკუთრებით კი ფათი ალ-შიქაქის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ.

ფათი ალ შიქაქი - იდეოლოგიური პორტრეტი

რელიგიის როლი

როგორც უკვე ვახსენეთ, ფათი ალ-შიქაქისა და პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის ისლამი და ყურანის შეგონებები დასაბამ წერტილს წარმოადგენდა. შიქაქისთვის ისლამი არ იყო რელიგია როგორც ადამიანისა და ღმერთის კავშირი, არამედ კულტურული და მორალური სისტემა, რომელსაც დასავლეთის კოლონიალურ ამბიციებთან და ქრისტიანულ აგრესიასთან ბრძოლის დიდი პოტენციალი გააჩნდა (Zreik & Mustafa, 2021). შიქაქისთვის ისლამი იყო ის გამაერთიანებელი ძალა, რომელიც წარუძღვებოდა არაბულ ნაციონალიზმს დასავლური ჰეგემონიის წინააღმდეგ. პალესტინის ისლამური ჯიჰადის ლიდერის რევოლუციური პრინციპი ეფუძნებოდა რწმენას ღმერთის სუვერენიტეტისა და უზენაესობის შესახებ.

სეკულარიზმი

ფათი ალ-შიქაქისთვის სეკულარიზმს გასხვავებული დატვირთვა ჰქონდა. ისლამური ჯიჰადის ლიდერი თვლიდა, რომ სეკულარიზმი არა რელიგიის, არამედ ეკლესიის გავლენისა და ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული თეორია იყო დასავლური სამყაროსთვის, თუმცა არაბული ქვეყნებისთვის, და განსაკუთრებით პალესტინის შემთხვევაში, სწორედ სეკულარიზმი იქნებოდა ხელის შემშლელი ფაქტორი რელიგიისა და ნაციონალიზმის ერთიანობისთვის (Zreik & Mustafa, 2021). ამრიგად, შიქაქისთვის დასავლეთისა და ისლამური სამყაროს სიტუაცია საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სეკულარიზმი დასავლეთისთვის ეკლესიის მარწუხებისგან თავის დაღწევის გზა გახდა, თუმცა მუსულმანური სამყაროსთვის რელიგიური მარწუხები არ წარმოადგენდა პრობლემას, არამედ სახელმწიფოს ჰეგემონია და კონტროლი. შესაბამისად, სეკულარიზმი ისლამურ ქვეყნებში საზოგადოების დისინტეგრაციასა და სახელმწიფო კონტროლის გამყარებას გამოიწვევდა, რადგან ისლამურ სამყაროში სახელმწიფოს ჰეგემონიის წინააღმდეგ მებრძოლ განმათავისუფლებელ ძალას სწორედ რელიგია წარმოადგენდა. შიქაქისთვის რელიგია იყო სახელმწიფო სტრუქტურების ტირანიის და ძალის შემასუსტებელი იარაღი (Zreik & Mustafa, 2021).

პალესტინის საკითხი

მის ერთ-ერთ წიგნში - 'პალესტინის ცენტრალურობა და თანამედროვე ისლამური პროექტი' - ფათი ალ-შიქაქი ისრაელის დაარსებას განიხილავს, როგორც დასავლეთის ყოვლისმომცველი ომის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს (Zreik & Mustafa, 2021). შიქაქის მუსლიმთა საძმოსადმი მიმართული კრიტიკის მთავარი ხაზიც სწორედ პალესტინის პრობლემა და ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული საბრძოლო სტრატეგიის არარსებობა იყო. თუ მუსლიმთა საძმო პალესტინის საკითხს აღიქვამდა როგორც მორიგ პრობლემას ისლამურ სამყაროში (ისევე როგორც ქაშმირის, ფილიპინებისა და ერითრეის შემთხვევაში), შიქაქისთვის მას ცენტრალური ადგილი ეჭირა. ფათი ალ შიქაქი თვლიდა, რომ ისლამისა და პალესტინის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა არასწორი იყო. შესაბამისად, მისთვის პალესტინის პრობლემის პრიორიტეტულობა ერთნაირად გამომდინარეობდა როგორც რელიგიური, ისე პოლიტიკური მიზეზებიდან. ვინაიდან ალ-შიქაქისთვის ისრაელის არსებობა წარმოადგენდა რეალურ საფრთხესა და დამაბრკოლებელ ფაქტორს ისლამური სამყაროს გაერთიანების გზაზე, მუსლიმი

ერისა და ხალიფათის აღდგომისთვის ბრძოლა PIJ-ის ლიდერისთვის პალესტინის საკითხის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული (Zreik & Mustafa, 2021).

რევოლუციური მიდგომა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფათი ალ-შიქაქი ენთუზიაზმით იყო განწყობილი და მასზე დიდი გავლენა მოახდინა ირანის რევოლუციამ და ხომეინის მიერ რელიგიის რევოლუციურ იარაღად გამოყენებამ. მისთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა რელიგიური განსხვავებულობა. პირიქით, შიქაქი თვლიდა, რომ სუნიტებსა და შიიტებს შორის არსებული დაპირისპირებისა და კონფლიქტის დარეგულირება და მინიმალიზება საჭიროც კი იყო ისლამური სამყაროს გაერთიანებისათვის (Zreik & Mustafa, 2021). შეიძლება ითქვას, რომ ირანის რევოლუცია შიქაქისთვის არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა. პალესტინის ისლამური ჯიჰადის დამფუძნებელი რევოლუციას აღიქვამდა როგორც დასავლეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ ცენტრალურ საბრძოლო იარაღს (Zreik & Mustafa, 2021). ამგვარად, რევოლუციას შიქაქისთვის არ გააჩნდა ეთნიკური, რელიგიური, თუ სექტანტური ასპექტები, არამედ ის წარმოადგენდა ჩაგრულთათვის გამბედაობის, ძალისა და თავდაჯერებულობის ჩვენების გზას.

ინტიფადის გავლენა პალესტინის ისლამურ ჯიჰადზე

პირველი ინტიფადა (1987-1993)

პალესტინის ისლამური ჯიჰადი სხვა დაჯგუფებებთან შედარებით გაცილებით მოწყვლადი იყო რეპრესიების და კონტრ-აჯანყებებისთვის, რამაც განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიაყენა ორგანიზაციის ლეგიტიმურობასა და რელევანტურობას 1990-იან წლებში, პირველი ინტიფადის დროს (1987-1993). ორგანიზაციის სამხედრო ფრთის წარმომადგენელთა მკვლელობის ან დაკავების შემთხვევაში, პალესტინის ისლამურ ჯიჰადს ძალადობის გზით ლეგიტიმაციის მიღწევის არც ისე ბევრი ალტერნატივა რჩებოდა. ალ-შიქაქის მიერ შექმნილი ორგანიზაცია არ იყო ჩართული პოლიტიკურ ინსტიტუციებში და სოციალურ ინფრასტრუქტურაში, რაც მოძრაობას უიარაღოს ტოვებდა პოლიტიკური ძალაუფლების მიღების გზაზე,

რადგან მას არ გააჩნდა საამისო კავშირები, ინსტიტუციები თუ ორგანიზაციული რესურსები (Skare E. , The Comeback of PIJ, 2021). მართალია თავის დროზე ციხის სისტემამ და დაპატიმრებების სერიამ საშუალება მისცა ისლამურ ჯიჰადს ნაყოფიერად ეწარმოებინა ახალი წევრების რეკრუტირება და გადამზადება, თუმცა დაჯგუფების მაღალი თანამდებობის პირების ციხეში დარჩენა ვერანაირად ვერ იქნებოდა მომგებიანი ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის. ამ და მსგავს პრობლემებს წააწყდა პალესტინის ისლამური ჯიჰადი 1990-იან წლებში, რამაც განაპირობა კიდეც მისი დასუსტება პირველი ინტიფადის დროს.

მეორე ინტიფადა (2000-2005)

აღსანიშნავია, რომ მოვლენების განსხვავებულ განვითარებას ვხედავთ მეორე ინტიფადის (2000-2005) მიმდინარეობისას. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ მეორე ინტიფადის დროსაც საკმაო რაოდენობით დაკარგა მნიშვნელოვანი სამხედრო პიროვნებები, პალესტინის ისლამურ ჯიჰადს არ განუცდია პირველი ინტიფადის მსგავსი დაღმასვლა. წევრების სიკვდილისა და დაპატიმრების შემთხვევაში ორგანიზაციის რიგები მალევე ივსებოდა ე.წ. „ახალი სისხლით“, ხშირად იგივე რაიონიდან. შესაძლებელი იყო აღმასრულებელი ძალაუფლების ერთი რაიონიდან მეორეში გადატანაც, თუ ამას სიტუაცია მოითხოვდა.[7] ამ ყველაფერს ხელს უწყობდა იმ დროისთვის დაჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები დასავლეთის სანაპიროზე მოქმედ ერთეულებთან (Skare E. , The Comeback of PIJ, 2021).

მეორე ინტიფადის დროს PIJ-ის გაძლიერებას რამდენიმე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ. პირველ რიგში, ამას ხელი შეუწყო პალესტინის ეროვნული ხელისუფლების იმ დროინდელმა პოლიტიკამ. პირველი ინტიფადისგან გასხვავებით, როდესაც პალესტინის ისლამური ჯიჰადი ფაქტობრივად ერთად იბრძოდა ისრაელის ოკუპაციასა და პალესტინის ხელისუფლების უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ, ამჯერად, ხედავდა რა ხალხის მხარდაჭერას პალესტინის ისლამური ჯიჰადისადმი, PA თავს იკავებდა თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმების აღსაკვეთად მკაცრი ღონისძიებების გატარებისგან (Skare E. , The Comeback of PIJ, 2021). ამას თან ახლდა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ძველი და უკვე გაწვრთნილი კადრების ციხიდან განთავისუფლებაც. ამგვარად, პალესტინის

[7] 2003 წელს ჯენინის ოლქის დასუსტების შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლება ტულკარემის რაიონში გადავიდა.

ისლამური ჯიჰადის აღმასვლას არა მარტო ახალწვეულთა უწყვეტმა ნაკადმა, არამედ პალესტინელთა მხარდაჭერამ და პალესტინის ეროვნული ხელისუფლების მხრიდან დაწესებულმა მინიმალურმა შეზღუდვებმა შეუწყო ხელი. მეორე ინტიფადის წლებში ისლამური ჯიჰადისთვის ძალადობა მართლაც იქცა პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების განმსაზღვრელ ფაქტორად.[8]

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად პალესტინის ისლამური ჯიჰადის აღმასვლისა და გაძლიერებისა, მოძრაობამ ვერ შეძლო მეორე ინტიფადის შემდგომ პერიოდში ძველი პოზიციების დაბრუნება დასავლეთის სანაპიროს ტერიტორიაზე. ამის მთავარი განმაპირობებლი ფაქტორი გახდა როგორც პალესტინის ეროვნული ხელისუფლებისა და ისრაელის ოკუპაციის უსაფრთხოების სფეროში განახლებული თანამშრომლობა, ისე ისრაელის ძალების აქტიური მოქმედება დასავლეთის სანაპიროზე. ამას თან ერთვოდა ომის შედეგად გამოწვეული დანაკლისები, შემდგომი მკვლელობებისა და დაპატიმრებების სერია (რამაც ათასობის მუჯაჰიდზე და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრზე იქონია გავლენა), და დაშოშმინების სხვადასხვა მექანიზმები (მაგ. გამყოფი კედელი დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც აფერხებდა PIJ-ის მებრძოლების თავისუფალ მანევრირებას) (Skare E. , The Comeback of PIJ, 2021).

ამ და წინა თავებში ნახსენებმა ორგანიზაციულმა, სამხედრო და იმ დროისათვის არსებულმა პოლიტიკურმა ასპექტებმა შეუწყვეს ხელი მოძრაობის დაღმასვლას მეორე ინტიფადის შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ინარჩუნებდა ძლიერ პოზიციას ღაზას სექტორში ისრაელის ოკუპაციის დროს, იგივე არ შეიძლება ითქვას დასავლეთ სანაპიროზე, სადაც პალესტინის ისლამური ჯიჰადის სამოკავშირეო ქსელები ფაქტობრივად განადგურდნენ. რადგან ორგანიზაციას არ გააჩნდა საჭირო ინსტიტუტები და ძლიერი კავშირები კონტრაჯანყებების საპასუხოდ პოზიციების შენარჩუნებისთვის, მეორე ინტიფადას დასრულების შემდეგ მისი პოზიცია დასავლეთ სანაპიროზე მალევე შესუსტდა და დაღმასვლის გზას დაადგა (Skare E. , The Comeback of PIJ, 2021).

[8] ამავეს მოწმობს ეგვიპტის მიერ PIJ-ის ქაიროში ფათაჰსა და ჰამასს შორის გამართულ ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შესაძლებლობის შესახებ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დასასწრებად მიწვევა (მოძრაობა არ დასწრებია პირველი ინტიფადის დროს ქაიროშიპ გამართული სამშვიდობო დიალოგის სესიებს).

ორგანიზაციის დოქტრინა და მიზნები

პალესტინის ისლამური ჯიჰადის მთავარი მისია შარიათზე დაფუძნებული პალესტინის სუვერენული სახელმწიფოს აღდგენაა. მომავალი პალესტინის სუვერენული სახელმწიფო გეგმა კი ისრაელის, დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის ტერიტორიების გაერთიანებას მოიცავს (Bartal, 2016; Palestinian Islamic Jihad, 2021; Hatina, 2001; Alexander, Palestinian Islamic Jihad , 2002).

პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის ისრაელი-პალესტინის საკითხს ტერიტორიულზე მეტად იდეოლოგიური კონფლიქტის სახე აქვს. ორგანიზაცია თვლის, რომ პალესტინის მიწის ისრაელის მიერ დაპყრობა და მართვა უფლის და ისლამის შეურაცხყოფაა, შესაბამისად, პალესტინის ტერიტორიის დაბრუნება მათთვის წმინდა მისიას და მოვალეობას წარმოადგენს, მიზნის მისაღწევ ერთადერთ გზად კი დაჯგუფება სისტემურ ძალადობას ხედავს.

PIJ-ის იდეოლოგიის მიხედვით, პალესტინის ისლამური სახელმწიფო მხოლოდ ჯიჰადის (საღვთო/წმინდა ომი) გზით შეიძლება აღდგეს. მათი ძალადობრივი მიდგომა კარგად ჩანს ორგანიზაციის მანიფესტშიც 'პალესტინაში ისლამური ჯიჰადის მანიფესტი'. მანიფესტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ პალესტინის ისლამური ჯიჰადი უარყოფს პალესტინის საკითხის მშვიდობიანი მოგვარების გზებს და ისრაელის ოკუპაციისგან განთავისუფლების ერთადერთ გზად მოწამეობრივ მოღვაწეობასა და ჯიჰადს მიიჩნევს (Justice, 2003). შესაბამისად, PIJ-ს არ სურს პოლიტიკური წარმომადგენლობა ჰყავდეს პალესტინის ეროვნულ ხელისუფლებაში და უარს ამბობს ისრაელთან დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოებაზე.

ორგანიზაციული მოწყობა

პოლიტიკური ფრთა

პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობას დაარსებიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში არ ჰქონია ჩამოყალიბებული ორგანიზაციური სტრუქტურები. გენერალური ასამბლეა, რომელიც მოძრაობის უმაღლესი კანონმდებელი ორგანოს ფუნქციას ასრულებს[9] და ორგანიზაციის ზოგადი სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავება ევალება, პირველად 1992 წელს მიიწვიეს[10] (Skare E. , 2021).

პალესტინის ისლამური ჯიჰადის კიდევ ერთ სტრუქტურულ ელემენტს შურას საბჭო წარმოადგენს. შურას საბჭოს აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია აკისრია. ორგანო სულ 15 წევრისგან შედგება; მათ შორის არიან როგორც ოკუპირებული ტერიტორიის შიგნით მცხოვრები, ისე მის საზღვრებს გარეთ ლოკალურად არსებული საბჭოთა წარმომადგენლები. მოძრაობის ყველა სხვა ინსტიტუცია ვალდებულია საბჭოს გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ადგილობრივი კომიტეტები და რეგიონული შურას საბჭოები, თავის მხრივ, თანამშრომლობენ ეროვნულ შურას საბჭოსთან და პოლიტბიუროსთან (Skare E. , 2021).

პოლიტბიუროს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს[11]. გენერალურ მდივანს ლიდერთა საბჭო ირჩევს. მისი ძირითადი მოვალეობა ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებაა. პოლიტბიუროს საქმიანობაში ასევე შედის საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოძრაობის პოლიტიკური ხაზის ზოგადი პუბლიკისთვის გაცნობა[12], კავშირების დამყარება და შენარჩუნება სხვადასხვა პოლიტიკურ ელემენტებთან და აქტორებთან, მოკავშირეებისა და „მფარველი“ ერთეულების მოძებნა, სამხედრო ოპერაციებისთვის ფინანსების მოძიება-განკარგვა, და ა.შ (Skare E. , 2021).

---

[9] გენერალური ასამბლეა ამტკიცებს წესდებას, ოქმებსა და რეგულაციებს.
[10] ასამბლეის წევრები მთელი პალესტინის ტერიტორიიდან იყვნენ არჩეულნი.
[11] ამჟამად პალესტინის ისლამური ჯიჰადის გენერალური მდივნის პოზიცია ზიად ალ-ნახალას უკავია.
[12] კომუნიკაცია ძირითადად ინტერვიუების გზით ხდებოდა.

ფიგურა 1. PIJ-ის პოლიტიკური ფრთის ორგანიზაციული სტრუქტურა



გენერალური ასამბლეა ირჩევს შურას საბჭოს, ხოლო შურას საბჭო ირჩევს გენერალურ მდივანსა და მის მოადგილეს. გენერალური მდივანი აირჩევა 4 წელიწადში ერთხელ. ერთი და იმავე გენერალური მდივნის არჩევა შეასძლებელია რამოდენიმეჯერ[13] (Skare E. , 2021).

გეოგრაფიული და ინსტიტუციური დაყოფის თვალსაზრისით, პალესტინის ისლამური ჯიჰადის პოლიტიკური ფრთა სამ რეგიონზე ნაწილდებოდა: ღაზას სექტორი, დასავლეთის სანაპირო და ციხის სისტემა. რაც შეეხება დიასპორას, აქ ოთხ ქვეყანას ვხვდებით: სირია, ლიბანი, იემენი და სუდანი. თითოეულ ამ რეგიონს ჰყავს 2 ოფიციალური წარმომადგენელი შურას ეროვნულ საბჭოში (Skare E. , 2021).

[13] არჩევნებში მონაწილეობის რაოდენობა შეზღუდული არ არის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ელემენტებისა, პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობა მოიცავს სხვადასხვა სფეროების მიმართულებით მომუშავე დამატებით აღმასრულებელ ორგანოებს (სამხედრო, პოლიტიკური, საგარეო ურთიერთობები, ფინანსები და ა.შ).

სამხედრო ფრთა

ისევე როგორც პოლიტიკური, სამხედრო რეორგანიზაციაც პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა 1990-იანი წლების დასაწყისში განიცადა. როგორც ცნობილია, თავდაპირველად ორგანიზაციას არ გააჩნდა შესაბამისი სამხედრო კაპიტალი (ხშირ შემთხვევაში სამხედროები საკუთარი ფინანსებით ყიდულობდნენ საბრძოლო იარაღს), შესაბამისად PIJ-ის დაღმასვლის ხანაში ალ-შიქაქიმ განიზრახა ვერტიკალური ძალოვანი სტრუქტურის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის სამხედრო ფრთის ოფიციალური ხემძღვანელობა PIJ-ის არსებობის პირველი 10 წლის განმავლობაში საერთოდ არ არსებობდა.

სამხედრო ფრთის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს მცირე ზომის სამხედრო საბჭო წარმოადგენდა, რომელიც ქასამის უმაღლესი ხემძღვანელებით იყო დაკომპლექტებული[14] (Skare E. , 2021). ამ მცირე სამხედრო საბჭოს დანიშნულება სამხედრო ოპერაციების დაგეგმვა-აღსრულება და მეთვალყურეობა იყო.

შემდეგი ინსტიტუცია - ქასამის შურას საბჭო - შედგებოდა საველე მეთაურებისგან, აღმასრულებელი წევრებისა და სპეციალისტებისგან. ეს ადამიანები საბჭოს ადგილობრივად განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებითა და ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილი სამხედრო ოპერაციების მხარდაჭერით იყვნენ დაკავებულნი (Skare E. , 2021).

[14] წევრებს შორის შედიოდნენ ალ-ხავაჯა (ლიდერი), ალ-ზათმა (ინჟინერი და ასაფეთქებელი ნივთიერებების მიმწოდებელი), ამარ ალ-არაჯი (პოლიტიკური და სამხედრო სპეციალისტი), აიმან ალ-რაზაინა (საველე და სამხედრო მეთაური).

ფიგურა 2. PIJ-ის სამხედრო ფრთის ორგანიზაციული სტრუქტურა



ასევე პალესტინის ისლამური ჯიჰადის სამხედრო პერსონალის ასისტირების მიზნით შეიქმნა ოთხი დეპარტამენტი:

1) მონიტორინგისა და დაზვერვის დეპარტამენტი - ინფორმაციის შეგროვება, შეიარაღებული ოპერაციების დაგეგმვა, რუკების მომზადება, მტრის სტრატეგიული განლაგების იდენტიფიკაცია, დაზვერვა;
2) გადამზადების დეპარტამენტი - ახალწვეულების მომზადება;
3) შესყიდვების დეპარტამენტი - იარაღის შეძენა;
4) ტექნიკური და მარაგის დეპარტამენტი - იარაღის მარაგის მეთვალყურეობა.

სამხედრო ფრთაში გადაწყვეტილების მიღება დაექვემდებარა ვერტიკალიზაციის პრინციპს, რისი მეშვეობითაც რეორგანიზაციის შემდეგ უმცირეს დეტალებთან

დაკავშირებითაც კი უკვე ორგანიზაციის უმაღლესი ხელძღვანელობა იღებდა გადაწყვეტილებებს (მაგ. ახალი წევრების ორგანიზაციაში მიღება) (Skare E. , 2021).

დაფინანსება

პალესტინის ისლამური ჯიჰადის ფინანსური მხარდაჭერის ძირითად წყაროს დიდი ხნის განმავლობაში ირანი წარმოადგენდა (Skare E. , 2021; Hatina, 2001; Barsky, 2002; Alexander, 2002). 1998 წლის ირანის წინააღმდეგ სასამართლო დავამ გამოავლინა, რომ ირანის რესპუბლიკა პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობას ყოველწლიურად 2 მილიონი დოლარით აფინანსებდა (Sisk, 1998). ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა შემდგომ წლებში. უკვე 2013 წელს, PIJ-ის წყაროებზე დაყრდნობით, ირანი პალესტინის ისლამურ ჯიჰადს თვეში 3 მილიონი დოლარით აფინანსებდა (Balousha, 2013). 2014 წლის მონაცემებით, ირანმა ორგანიზაციას დაფინანსება წელიწადში 100-150 მილიონ დოლარამდე გაუზარდა (Levitt, 2014).

სიტუაცია სრულიად შეიცვალა 2015 წელს. ირანმა შეწყვიტა პალესტინის ისლამური ჯიჰადის დაფინანსება, რის შედეგადაც მოძრაობას სერიოზული ფინანსური კრიზისის გადატანა მოუწია. გავრცელებული ინფორმაციით ირანის მხრიდან დაფინანსების შეწყვეტა გამოწვეული უნდა იყოს პალესტინის ისლამური ჯიჰადის იემენში ინტერვენციის საკითხისადმი აშკარა ნეიტრალურო დამოკიდებულებით (Toameh, 2015), თუმცა ირანის მიერ დაფინანსების შეწყვეტა არ ნიშნავს PIJ-ისა და ირანის რესპუბლიკას შორის კავშირის შეწყვეტას. დღემდე, ირანი განაგრძობს პალესტინის ისლამური ჯიჰადის მხარდაჭერას, იქნება ეს ფინანსური თუ სამხედრო დახმარება.

2020 წელს აშშ-ის სასამართლოში შეტანილმა სარჩელმა გამოავლინა, რომ კატარის სამი ფინანსური ინსტიტუტი[15] მილიონობით დოლარით აფინანსებდა ჰამასსა და პალესტინის ისლამურ ჯიჰადს (Kredo, 2020).

[15] Qatar Charity, Masraf Al Rayan, Qatar National Bank; სამივე ინსტიტუცია კატარი სამეფო ოჯახის დაქვემდებარებაშია.

პალესტინის ისლამური ჯიჰადის დაფინანსების დამატებით წყაროებს წარმოადგენს მსხვილი შემოწირულობები ადგილობრივი მდიდარი კლანებისაგან, გატაცება, ფულის გამოძალვა და სხვა.

სხვა ორგანიზაციებთან კავშირი

ირანის ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსი (IRGC)

ირანის მიერ გაღებული ფინანსური დახმარების გარდა, ისლამური რევოლუციური გვარდიის კორპუსი (IRGC) ირანსა და პალესტინის ისლამურ ჯიჰადს შორის ერთგვარი გამტარის როლს ასრულებდა. IRGC ჩართული იყო პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის იარაღის მიწოდებაში, ორგანიზაციის წევრების გადამზადებასა და ფინანსური მხარის უზრუნველყოფაში.

ჰამასი

ჰამასის დაარსებისა და შეიარაღებულ ბრძოლაში ჩართვის შემდეგ, პალესტინის ისლამურ ჯიჰადსა და ჰამასს შორის ურთიერთობები საგრძნობლად დათბა. მართალია ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის არასდროს ყოფილა ფორმალური ერთობა, თუმცა წლების მანძილზე ჰამასი და PIJ ერთობლივი სამხედრო ოპერაციების გასატარებლად თანამშრომლობდნენ. ასევე, ხშირი იყო ერთმანეთის მხარდაჭერა ტექნიკური ცოდნის გაზიარებისა და ურთიერთდახმარების სახით (Skare E. , PIJ and Hamas: From Enmity to Sibling Rivalry , 2021).

ჰეზბოლა

1987 წელს ღაზას სექტორიდან ლიბანში გადასახლების შემდეგ იწყება პალესტინის ისლამურ ჯიჰადსა და ჰეზბოლას შორის თანამშრომლობა და კოოპერაცია. 2014 წელს გავრცელდა ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც PIJ-ის წევრები მადლობას უხდიან ჰეზბოლას გაწეული დახმარებისა და ფინანსური, სამხედრო და მორალური მხარდაჭერისთვის (Palestinian Islamic Jihad, n.d.).

ალ აქსას მოწამეთა ბრიგადა

პალესტინის ისლამური ჯიჰადის დაჯგუფებამ და ალ აქსას მოწამეთა ბრიგადამ[16] ერთობლივი ტერორისტული თავდასხმები განახორციელეს ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. ტერორისტული ორგანიზაციების ერთ-ერთი ერთობლივი აქტი განხორციელდა 2006 წლის 17 აპრილს, თელ ავივის ცენტრალურ ავტოსადგომზე; სუიციდური ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა 11, ხოლო დაშავდა 60 ადამიანი (Reuters, 2008).

ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება

რეკრუტირება

ვინაიდან პალესტინის ისლამური ჯიჰადის მთავარი მიზანი ისრაელის წინააღმდეგ სტრატეგიული სამხედრო ოპერაციების გატარება იყო, ორგანიზაცია დაჯგუფების რიცხობრივ ზრდაზე მეტად ახალწვეული მებრძოლების შეძენაზე ფოკუსირდებოდა.

თავდაპირველად, როდესაც პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა ახალი წევრების რეკრუტირება დაიწყო, ახალწვეულების უმრავლესობა ყოფილი პატიმრებისგან შედგებოდა, რომელთაც ალ-შიქაქი პატიმრობის წლებში ხვდებოდა.

ახალი წევრების რეკრუტირების კიდევ ერთი გზა ორგანიზაციის სულიერი ლიდერის - აბდულ ალ ავდას საქმიანობაზე იყო დამოკიდებული. როგორც ისლამური სამართლის მცოდნე, აბდულ ალ ავდა, ბევრის ყურადღებას იქცევდა ღაზას მეჩეთში ქადაგებების დროს (Atkins, 2004).

2003 წლამდე პალესტინის ისლამური ჯიჰადის რიგებში ქალი თვითმკვლელი ტერორისტები არ ირიცხებოდნენ (მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ თვითმკვლელ ტერორისტთა რეკრუტირება 1990-იანი წლებიდან დაიწყო), თუმცა შემდგომში ქალთა რეკრუტირების საკითხი ტერორისტულ ორგანიზაციაში მათ მიერ ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ საკუთარი ღირსების დაცვად

[16] ფათაჰის შეიარაღებული ფრაქცია.

კვალიფიცირდებოდა. PIJ-ის პირველი ქალი ტერორისტი 19 წლის ჰიბა დარაღმე იყო, რომელმაც ასაფეთქებელი დეტონატორი სავაჭრო ცენტრში გააქტიურა; შემთხვევას ემსხვერპლა 3 ადამიანი (Zedalis, 2004).

ახალწვეულთა შერჩევისა და რეკრუტირების სტრატეგია ძირითადად ერთნაირია ქალებისა და მამაცების შემთხვევაში და ხშირად ემყარება ნდობის მოპოვებას, პირად ტრაგედიებზე მანიპულირებას, შურისძიების გრძნობის გამწვავებას, დარწმუნებასა და გადაბირებას.

გადამზადება

პალესტინის ისლამური ჯიჰადი მებრძოლთა და მიმდევართა გადამზადებისთვის სხვადასხვა სასწავლო მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებს, მათ შორის შეიარაღებული დაპირისპირებისას საჭირო უნარ-ჩვევების შემუშავებისთვის გამიზნულ ტაქტიკებსა და თვითმკვლელი ტერორისტების მომზადებისთვის აუცილებელ სიმულაციურ ოპერაციებს.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ე.წ. „ზაფხულის ბანაკები“, რომლებშიც ათასობით ბავშვი[17] იღებს მონაწილეობას. მოზარდებს ასწავლიან იარაღის მოხმარებას, ნაღმებთან მოპყრობასა და დანერგვას, უტარებენ ადამიანის გატაცების სიმულაციურ სავარჯიშოებს. დამატებით, ბანაკი ითავსებს აღმზრდელობით საქმიანობასაც სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მთავარი მიზანიც ახალი წინააღმდეგობის თაობის აღზრდაა (Balousha, 2013).

პალესტინის ისლამური ჯიჰადის ძალადობრივი მხარე

შეიარაღება

როგორც უკვე ნახსენებია წინა თავებში, პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობა მისი არსებობის პირველი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული სტრუქტურული ელემენტებისა და შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის გარეშე

[17] მათი ასაკი 6 წლიდან იწყება.

ფუნქციონირებდა. ორგანიზაციის წევრებსა და მებრძოლებს თვითონ უწევდათ შეიარაღებასა და იარაღის მარაგის განკარგვაზე ზრუნვა.

იარაღის შეძენა ძირითადად მებრძოლთა პირადი ფინანსებით და დანაზოგით ხდებოდა. ზოგჯერ ორგანიზაციის მებრძოლები ისრაელის არმიის კუთვნილ იარაღს საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკების ადგილიდანაც იპარავდნენ. ამის მიზეზს კი PIJ-ის ხელმღვანელობის მხრიდან დაფინანსების მოპოვების, შესაბამისი შეიარაღების მომარაგების, ლოჯისტიკური მხარდაჭერისა და უსაფრთხო თავშესაფრების უზრუნველყოფის უუნარობა წარმოადგენდა (Skare E. , 2021).

იარაღის მოპოვების კიდევ ერთი გზა მათი წარმოება იყო, განსაკუთრებით კი ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების. რა თქმა უნდა, შესაბამისი განათლებისა და უნარების გარეშე ეს საქმიანობა შესაძლოა ფატალურადაც კი დასრულებულიყო. ამის ერთ-ერთი მაგალითი ჰასან ბრაჰმაა, რომელსაც ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება ყველანაირი წინასწარი გადამზადების გარეშე დაევალა. მართალია ბრაჰმამ შეძლო რამდენიმე ეგზემპლარის წარმატებით დამზადება, თუმცა 1992 წელს ერთ-ერთი მცდელობის დროს ნაადრევად ამუშავებულმა დეტონატორმა იმსხვერპლა (Skare E. , 2021).

მებრძოლების მიერ იარაღის შეძენისა და წარმოების გარდა, პალესტინის ისლამური ჯიჰადი ფულისა და შეიარაღების სახით შემოწირულობას რამდენიმე დამოუკიდებელი ჯგუფისაგან, კლანისგან ან/და ოჯახისგან იღებდა.[18] შეგვიძლია გამოვყოთ ღაზან ალ-დაჰდუჰის კლანი[19], რომელმაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის ფინანსურ და ლოჯისტიკურ მხარდაჭერაში. ღაზან ალ-დაჰდუნის კლანის ბევრი წევრი შეუერთა კიდეც მოძრაობის რიგებს 1980-იანი წლების დასაწყისში (Skare E. , 2021).[20]

სიტუაცია საგრძნოლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ირანის რესპუბლიკამ პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის ფინანსური და სამხედრო დახმარების გაწევა დაიწყო. ირანი ორგანიზაციის შეირაღების მთავარი წყარო გახდა. ღაზას სექტორში

[18] ეს პიროვნებები ხშირად მოიხსენიებიან როგორც „ვიღაც მოჯაჰიდები“.
[19] როგორც ცნობილია ღაზან ალ-დაჰდუნის კლანი წარმატებით მოღვაწეობდა ვაჭრობისა და აგრიკულტურის დარგში.
[20] ხალიდ ალ-დაჰდუჰი, იგივე აბუ ალვალიდი ალ-ყუდსის ბრიგადის ლიდერისა და იარაღწარმოებისა და ტექნიკური ერთეულის მეთაურის როლს ასრულებდა.

იარაღი ირანიდან სუდანის, ეგვიპტისა და სინაის ნახევარ-კუნძულის გავლით კონტრაბანდული გზებით ხვდება.

თავდასხმების სერია

პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიზანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისრაელის განადგურება და პალესტინის სუვერენული სახელმწიფოს დაარსება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევა ორგანიზაციას ისრაელის ოკუპაციისა და დასავლური „ჰეგემონიის“ წინააღმდეგ მიმართული საღვთო ომის გზით სურს. ამგვარად, პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის ტერორიზმი და ძალადობრივი ჯიჰადის იდეოლოგია მისი არსებობის განუყოფელი ნაწილი გახდა.

პალესტინის ისლამური ჯიჰადი პასუხიმგებელია ისრაელის სამოქალაქო ცენტრებსა და სამხედრო პერსონალზე მიტანილ ასობით რაკეტულ და უამრავ სუიციდურ ტერორისტრულ თავდასხმაზე, რასაც აუცილებლად ახლავს თან მსხვერპლი მშვიდობიანი მოქალაქეებისა და ისრაელის მებრძოლების სახით.

ორგანიზაციას ჯერჯერობით არ ჰქონია ამერიკის შეერთებული შტატების საკუთრებასა და მოქალაქეებზე თავდასხმის მცდელობა[21], თუმცა PIJ არ მორიდებია ამერიკის შეერთებული შტატების გაფრთხილებას მოსალოდნელი ტერორისტული თავდასხმის შესახებ თუ აშშ საელჩოს თელ ავივიდან იერუსალიმში გადატანას შეეცდებოდა.

ქვემოთ მოცემულია შემოკლებული სია იმ ტერორისტული თავდასხმებისა, რომლებზეც პასუხისმგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო:

ნეთზარიმის კვეთაზე მომხდარი ველოსიპედის აფეთქება

1994 წლის 11 ნოემბერს ღაზას სექტორში მდებარე ისრაელის არმიის საგუშაგოზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა 3, ხოლო დაიჭრა ისრაელის არმიის 6 ჯარისკაცი და 6 პალესტინელი არაბი მოქალაქე. ველოსიპედით მოძრავმა პალესტინის მოქალაქემ სხეულზე მიბმული ასაფეთქებელი გააქტიურა, PIJ-ის მოკლული ლიდერის, ჰანი აბედისთვის,

[21] ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოქალაქე ემსხვერპლა ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებს.

შურისძიების სახელით. მომხდარზე პასუხიმსგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო.

აფულას ავტობუსის აფეთქება

თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმის შედეგად, აფულას ცენტრში, 1994 წლის 6 აპრილს მომხდარ აფეთქებას ისრაელის 8 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხხვერპლა, ხოლო 55 დაშავდა. თავდასხმაზე პასუხიმგებლობა ჰამასმა და პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღეს. აფულას ავტობუსის აფეთქება პალესტინელი სამხედროების მიერ ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული პირველი ტერორისტული თავდასხვა იყო.

ბეიტ ლიდის სისხლისღვრა

ბეიტ ლიდის გზაჯვარედინის აფეთქება 1995 წლის 22 იანვარს თვითმკვლელი ტერორისტების მიერ ისრაელის ჯარისკაცების წინააღმდეგ განხორციელებული ორმაგი ტერორისტული აქტი იყო. აფეთქებას 18 ისრაელის ჯარისკაცი და 1 მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა. მომხდარზე პასუხისმგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო.

ტერორისტული აფეთქება „მაქსიმის“ რესტორანში

2003 წლის 4 ოქტომბერს რესტორან „მაქსიმში“ მომხდარ აფეთქებას 21 ადამიანი ემსხვეპლა, ხოლო 60 დაშავდა. ქალაქ ჰაიფას სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე მდებარე რესტორანი ერთგვარი მშვიდობიანი თანაცხოვრების სიმბოლოდ აღიქმებოდა, ვინაიდან დაწესებულებას ხშირად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური წარმომავლობის მოქალაქეები სტუმრობდნენ, მათ შორის არაბები და ებრაელებიც. მომხდარზე პასუხისმგებლობა პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა აიღო.

აფეთქება თელ ავივის ავტობუსების სადგურზე

2006 წლის 17 აპრილს თელ ავივის ყოფილ ცენტრალურ ავტოსადგურზე, სუიციდური ტერორისტული თავდასხმის შედეგად, 11 ადამიანი დაიღუპა. მომხდარზე

პასუხიმსგებლობა პალესტინის ისლამურ ჯიჰადთან და ფათაჰთან აფილირებულმა ალ აქსას მოწამეთა ბრიგადამ აიღო.

2012 წლის თელ ავივის ავტობუსის აფეთქება

2012 წლის 21 ნოემბრის თელ ავივის ავტობუსის დაბომბვის შედეგად მინიმუმ 30 ადამიანი დაშავდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტობუსში მყოფმა არაბული წარმომავლობის თვითმკვლელმა ტერორისტმა აამოქმედა. თელ ავივის ავტობუსის აფეთქება კვალიფიცირდება, როგორც თელ ავივში 2006 წლის შემდეგ მომხდარი პირველი მასობრივი დაშავებითი ტერაქტი. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჰამასსა და პალესტინის ისლამურ ჯიჰადს ეკისრებათ.

PIJ-ის სნაიპერული ჯგუფის თავდასხმა

2020 წლის 19 თებერვალს ღაზას სამხრეთ საზღვარზე პალესტინის ისლამური ჯგუფის სნაიპერულმა დანაყოფმა ცეცხლი გაუხსნა ისრაელის ჯარისკაცებისა და პოლიციელების ჯგუფს. თავდასხმამ მსხვერპლის გარეშე ჩაიარა.

2021 წლის 9-20 მაისის სარაკეტო თავდასხმების სერია

11 დღის განმავლობაში ჰამასმა და პალესტინის ისლამურმა ჯიჰადმა 4000-მდე სარაკეტო იერიში მიიტანეს ღაზას სექტორზე. სხვადასხვა მხარის ცნობებით კონფლიქტს ემსხვერპლა 160-217 პირი, დაიჭრა 1400-მდე ადამიანი. შეიარაღებული დაპირისპირება 21 მაისს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე შეწყდა.

პალესტინის ისლამური ჯიჰადი თავდასხმების დროს ძირითადად ინდივიდუალურ პიროვნებებს ან მცირერიცხოვან ჯგუფებს იყენებს. ხშირია სუიციდური ტერორისტული აქტები, დაბომბვების სერია, მკვლელობები დანის ჩარტყმით. ორგანიზაციის ძირითად სამიზნეებს წარმოადგენენ ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეები და სამხედროები, უსაფრთხოების სამსახურის პერსონალი, ისრაელის თავდაცვის ძალები (IDF), სამოქალაქო და სამხედრო ავტომანქანები და ა.შ. (Alexander, 2002).

ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი

ცხრილი 1. ტერორისტული ორგანიზაციის სტატუსი

	ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადების თარიღი
აშშ	1997 წლსი 8 ოქტომბერი
დიდი ბრიტანეთი	2001 წლის მარტი
ავსტრალია	2001 წლის 21 დეკემბერი
ევროკავშირი	2001 წლის 27 დეკემბერი
კანადა	2002 წლის 27 ნოემბერი
ახალი ზელანდია	2010 წლის 11 ოქტომბერი

როგორი სახელმწიფოს აშენება სურს PIJ-ს

„იდეალური სახელმწიფო“

პალესტინის ისლამური ჯიჰადის მთავარი მიზანი თავისუფალი და სუვერენული პალესტინური სახელმწიფოს შექმნაა, თუმცა როგორ მოხდება ამ სახელმწიფოს ფორმირება და რა პრინციპებს ემყარება იგი, ამაზე არც მოძრაობასა და არც ფათი ალ-შიქაქის დეტალური განმარტება არ გაუკეთებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პალესტინის ისლამური ჯიჰადის იდეოლოგიური თვალთახედვით სახელმწიფო თავისთავად წარმოადგენს რეპრესიულ ძალას, შესაბამისად პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიმდევრებისთვის სამართლიანი საზოგადოება იარსებებს მხოლოდ მაშინ თუ სახელმწიფო მონოპოლიის წინააღმდეგ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება იდგება (skare, 2021).

ვინაიდან სეკულარული სახელმწიფო და მისი დომინაცია მიუღებელი და საფრთხილო იყო პალესტინის ისლამური ჯიჰადისათვის, საჭირო იყო სახელმწიფო აპარატის ძალაუფლების შესუსტება. ამ როლის შესრულება არაბულ სამყაროში საკუთარ თავზე რელიგიას უნდა აეღო. ისლამი იქნებოდა ის ძალა, რომელიც

სახელმწიფოს ხალხზე დომინაციას დაუპირისპირდებოდა და ანგარიშვალდებულს გახდიდა მას სამოქალაქო საზოგადოების წინაშე[22]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პალესტინის ისლამური ჯიჰადი ეწინააღმდეგებოდა არაბულ-ისლამური საზოგადოებების სეკულარიზაციას (skare, 2021).

ამ წინააღმდეგობის მთავარი ამომავალი წერტილი ალ-შიქაქის მიერ სეკულარიზმის განსხვავებული აღქმა იყო. ფათი ალ-შიქაქი თვლიდა, რომ სეკულარიზმმა აღმოფხვრა ყველანაირი კონტროლი, ძალთა წონასწორობა და დაყოფა, და სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა გამხდარიყო ყოვლისშემძლე აპარატი. ამგვარად, რადგან სახელმწიფო თავისთავად რეპრესიული ხასიათის მატარებელია, ჩნდება ძალისა და უფლებამოსილების გაყოფის აუცილებლობა, რის შედეგადაც სახელმწიფო აპარატი ანგარიშვალდებული იქნება საზოგადოების წინაშე. შესაბამისად, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ხდება გარანტი, რომ სახელმწიფოს არ ექნება უფლებამოსილების გადაჭარბების საშუალება.

ალ-შიქაქის აზრით, ღირსეული საზოგადოება სახელმწიფოსგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა ფუნქციონირებდეს. პალესტინის ისლამური ჯიჰადის ლიდერი თვლიდა, რომ ამის მისაღწევად საჭირო იყო კანონმდებლობის, განათლების, ბაზრისა და უძრავი ქონების განკარგვის უფლების სამოქალაქო საზოგადოებისთვის გადაცემა, კონკრეტულად კი სწავლულ ადამიანთა ჯგუფისთვის[23], რომელიც ამ ყველაფრის განკარგვაზე იქნებოდა პასუხისმგებელი (skare, 2021).

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პალესტინის ისლამური ჯიჰადის მიზანი არ არის ისლამური სახელმწიფოს დაარსება ამ ტერმინის ტრადიციული გაგებით. ისლამური ჯიჰადისთვის „იდეალური სახელმწიფოს“ ფუნქცია შემოიფარგლება აღმასრულებელი შტოს უფლებამოსილებით, ხოლო მეცნიერთა ჯგუფი სახელმწიფოს მსგავს საკანონმდებლო ფუნქციას ითავსებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ალ-შიქაქის განზრახვა სახელმწიფო ძალაუფლების ფორმირებისთვის ხელის შეშლა იყო. ამის

[22] ალ შიქაქისა და მისი მიმდევრებისთვის, ისლამის შეგონებების თანახმად, ღმერთი უნდა ყოფილიყო ის ერთადერთი საწყისი, რომელსაც ადამიანი ემსახურებოდა და დაემონებოდა. შესაბამისად, სახელმწიფო აპარატის ძალაუფლებისა და მისი ლიდერისადმი მორჩილება მათთვის მიუღებელი გახლდათ.
[23] ეს ჯგუფი შეასრულებს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ერთგვარი ცენტრალური აპარატის როლს.

ნაცვლად, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ პალესტინის ისლამური ჯიჰადის ფუძემდებელს არ სურდა ძალაუფლების ყველა შტოს ერთ ინსტიტუტში მოეყარა თავი.

ლიბერალური დემოკრატია რელიგიური ტირანიის წინააღმდეგ

როგორც წინა თავში ვახსენეთ, პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობას სურს შექმნას საზოგადოება, რომელშიც არსებითად სუსტი სახელმწიფო აპარატი ანგარიშვალდებულია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების წინაშე. ანალოგიურად, PIJ არ უარყოფს დემოკრატიულ არჩევნებს, მრავალპარტიულობას, საპარლამენტო სისტემასა და ძალაუფლების როტაციას, თუმცა იმის გამო, რომ პალესტინის ისლამური ჯიჰადისთვის რელიგია პოლიტიკაზე და სახელმწიფო აპარატზე მაღლა დგას, ჩნდება არსებითი სტრუქტურული ლიმიტაციები, რომლებიც ხელს უშლიან სუვერენული პალესტინის მომავალი საზოგადოების დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებასა და განვითარებას (skare, 2021).

ფათი ალ-შიქაქი მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური პლურალიზმი დასაშვები, ხოლო თავისუფალი არჩევნები და დემოკრატია სავალდებულოც კი იყო. ამის მიუხედავად, მსგავსი პოლიტიკური სისტემის არსებობა და ფუნქციონირება პალესტინის სუვერენულ სახელმწიფოში შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების აბსოლიტური უმრავლესობა შეთანხმდება ისლამური კანონის როგორც კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფუნდამენტური ჩარჩოს უზენაესობაზე (skare, 2021). შესაბამისად, ყურანის წმინდა წიგნი იქნება ის დოკუმენტი, რომელსაც დაეფუძნება მომავალი სახელმწიფო კონსტიტუციის პრინციპები და კანონები. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ PIJ არსებითად არ უჭერს მხარს ღმერთის აბსოლიტური სუვერენიტეტის ცნობას, ალ-შიქაქის „იდეალურ სახელმწიფოში“ ადამიანის ავტორიტეტი და მის მიერ შექმნილი კანონები ისლამის ფილოსოფიასა და ღვთაებრივ კანონებს ექვემდებარება.

ამასთანავე ჩნდება კითხვები რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით, კერძოდ, ქრისტიანებისა და ებრაელების უფლებების შესახებ მომავალ პალესტინურ სახელმწიფოში. ალ-შიქაქი ითვალისწინებდა ჯიზიას[24] დაწესების შესაძლებლობასაც, რაც თავისთავად გულისხმობდა უფლებების გარკვეული წესით

[24] წლიური გადასახადი პალესტინის მიწაზე მცხოვრები არა-მუსლიმი მოსახლეობისთვის.

გადანაწილებას (skare, 2021). ამასთან, ჯიზიასგან თავის დაღწევა შესაძლებელი იქნებოდა სამხედრო სამსახურის გზით: ის ადამიანები, რომლებიც თავს გამოიჩენდნენ პატრიოტიზმით და მზად იქნებოდნენ დამოუკიდებელი პალესტინის დასაცავად განთავისუფლდებოდნენ ყოველწლიური გადასახადისგან (skare, 2021).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც შორსაა პალესტინის ისლამური ჯიჰადის საზოგადოება ლიბერალიზმისგან, იმდენად ეფუძნება ის ადამიანის უფლებათა აღიარებას. აქედან გამომდინარე, PIJ-ის სახელმწიფოებრიობისადმი მიდგომა შეიძლება კლასიკურ ლიბერალიზმსაც კი შევადაროთ, თუმცა ლიბერალიზმისგან განსხვავებით, პალესტინის ისლამური ჯიჰადი ძლიერ სახელმწიფოს არა ჰარმონიული საზოგადოებისათვის, არამედ ისლამური კანონებისა და ღირებულებებისათვის საფრთხის შემცველად აღიქვამს.

დასკვნა

პალესტინის ისლამური ჯიჰადი პირველი სამხედრო მოძრაობა იყო ღაზას სექტორში, რომლის შექმნამაც თავისთავად დიდი გავლენა იქონია რეგიონსა და პალესტინის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე.

პირველ რიგში, პალესტინის ისლამური ჯიჰადის არსებობამ უბიძგა პალესტინის მუსლიმთა საძმოს დაეარსებინა თავისი ისლამისტური სამხედრო ორგანიზაცია - ჰამასი, რამაც ხელი შეუწყო პალესტინის საზოგადოების შემდგომ ისლამიზაციას (Barsky, The Islamic Jihad Movement in Palestine, 2002). სწორედ ამ ისლამიზაციის პროცესს მოჰყვა ერთგვარი ჯაჭვური რეაქცია: გაჩნდა ბავშვებისა და პალესტინელი მოზარდების ადრეულ ასაკში ინდოქტრინიზაციის შესაძლებლობა, ისლამური ტერმინოლოგია გახდა პალესტინური დისკურსის განუყოფელი ნაწილი, გაჩნდა ქალი თვითმკვლელი ტერორისტების რეკრუტირების ფენომენი, ირანის რესპუბლიკამ დაიწყო პალესტინის ისლამური ჯიჰადისტური ორგანიზაციების ფინანსებითა და სამხედრო შეიარაღებით მომარაგება და ა.შ.

რამდენადაც შეიძლება რადიკალური ეწოდოს პალესტინის ისლამური ჯიჰადის მოძრაობას ისრაელის ოკუპაციასთან მიმართებაში, იმდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზაცია საკმაო ზომიერებით ხასიათდება პალესტინის ტერიტორიაზე

მოქმედი სხვა ექსტრემისტული ჯგუფების მიმართ[25]. ერთი შეხედვით, ეს ფაქტი შეიძლება აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციების საერთო ღირებულებებითაც იყოს განპირობებული, თუმცა აუიცლებელია ხაზი გაესვას პალესტინის ისლამური ჯიჰადის შიდა ეროვნული ერთობისაკენ მისწრაფებას, რაც თავისთავად ითვალისწინებდა პალესტინის შიგნით მოქმედი ისლამისტური სამხედრო ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებების წარმართვას, კონსენსუსის მიღწევასა და საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას[26].

ამრიგად, პალესტინის ისლამური ჯიჰადი პოლიტიკურ ისლამთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაციონალიზმით ხასიათდება, ხოლო მისი მიზნის მიღწევის ძირითად მეთოდს სამხედრო და პოლიტიკური ძალის გამოყენება წარმოადგენს. სწორედ ნაციონალიზმისა და შეირაღებული ბრძოლის შერწყმამ მისცა პალესტინის ისლამურ ჯიჰადს შესაძლებლობა საბოლოო სახით ჩამოყალიბებულიყო, როგორც ისლამისტურ-ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაცია.

[25] შეგვიძლია გავიხსენოთ PIJ-ის ურთიერთობა/თანამშრომლობა ჰამასთან და ფათაჰთან.
[26] იგულისხმება ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა

Alexander, Y. (2002). Palestinian Islamic Jihad . In Y. Alexander, Palestinian Religious Terrorism: Hamas and Islamic Jihad (p. 29). Ardsley : Transnational Publishers .

Alexander, Y. (2002). Palestinian Islamic Jihad . In Y. Alexander, Palestinian Religious Terrorism: Hamas and Islamic Jihad (pp. 34-35). Ardsley: Transnational Publishers .

Alexander, Y. (2002). Palestinian Islamic Jihad . In Y. Alexander, Palestinian Religious Terrorism: Hamas and Islamic Jihad (p. 36). Ardsley: Transnational Publications .

Atkins, t. E. (2004). Encyclopedia of modern worldwide extremists and extremist groups. Westport: Greenwood Press.

Baloushа, H. (2013, September 2). Islamic Jihad May Respond If Israel Enters Syria War. Retrieved Decemeber 19, 2021, from Al-Monitor: https://www.al-monitor.com/originals/2013/09/islamic-jihad-syria-us-strike.html

Baloushа, H. (2013, June 21). Islamic Jihad, Hamas Hold Military Summer Camps for Children. Retrieved December 19, 2021, from www.al-monitor.com: https://www.al-monitor.com/originals/2013/06/gaza-summer-camps-children-islamic-jihad.html

Barsky, Y. (2002). Funding and Logistical Support . In Y. Barsky, Islamic Jihad Movement in Palestine (pp. 12-15). New York : THE AMERICAN JEWISH COMMITTEE .

Barsky, Y. (2002). The Islamic Jihad Movement in Palestine. New York : AMERICAN JEWISH COMMITTEE.

Bartal, S. (2016). Islam and Palestine: The Philosophy of the Islamic Jihad. In S. Bartal, Jihad in Palestine: Political Islam and the Israeli-Palestinian Conflict (pp. 84-127). London; New York: RoutledgeTaylor & Francis Group .

Dot-Pouillard, N., & Rébillard, E. (2013). The Intellectual, the Militant, the Prisoner and the Partisan: the Genesis of Islamic Jihad Movement in Palestine. The Muslim World, 161-180.

Fletcher, H. (2008, April 10). Palestinian Islamic Jihad. Retrieved December 17, 2021, from Council on Foreign Relations: https://www.cfr.org/backgrounder/palestinian-islamic-jihad

Hatina, M. (2001). Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement . Tel aviv : Tel Aviv University .

Hatina, M. (2001). Relations with Iran and Hizballah . In M. Hatina, Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement (pp. 107-117). Tel AViv: Tel Aviv University .

Hatina, M. (2001). The Oslo Accords - Ideology and Political Reality . In M. Hatina, Islam and Salvation in Palestine: The Islamic Jihad Movement (pp. 85-106). Tel Aviv: Tel Aviv University .

Justice, T. U. (2003, February 20). STATEMENT OF THE ATTORNEY GENERAL . Retrieved December 18, 2021, from www.justice.gov: https://www.justice.gov/archive/ag/speeches/2003/02202003pressconference.htm

Kredo, A. (2020, June 10). Lawsuit Alleges Qatar Secretly Financed Terror Attacks that Killed Americans . Retrieved December 19, 2021, from The Washington free beacon : https://freebeacon.com/national-security/lawsuit-alleges-qatar-secretly-financed-terror-attacks-that-killed-americans/

Levitt, J. (2014, February 11). Expert: Hamas Received $2 Billion From Iran; Islamic Jihad Gets $150 Million Annually. Retrieved December 19, 2021, from The Algemeiner : http://www.algemeiner.com/2014/02/11/expert-hamas-received-2-billion-from-iran-islamic-jihad-gets-150-million-annually/

n.d. (2021, May 21). Wilson Center. Retrieved December 17, 2021, from Iran, Hamas and Palestinian Islamic Jihad: https://www.wilsoncenter.org/article/iran-hamas-and-palestinian-islamic-jihad

Palestinian Islamic Jihad. (n.d.). Retrieved December 19, 2021, from Counter Extremism Project: https://www.counterextremism.com/threat/palestinian-islamic-jihad

Project, C. E. (2021, May 21). Palestinian Islamic Jihad. Retrieved 12 14, 2021, from counterextremism.com: <https://www.counterextremism.com/threat/palestinian-islamic-jihad>

Reuters. (2008, February 5). TIMELINE: Suicide bombings in Israel. Retrieved December 19, 2021, from www.reuters.com: https://www.reuters.com/article/us-israel-explosion-chronology-idUSL0565679420080205

Shallah, R. '., & al-'Ayid, K. (1999). The Movement of Islamic Jihad and the Oslo Process. Journal of Palestine Studies, 61-73. Retrieved from http://www.jstor.org/stable/2538393

Sisk, R. (1998). TERROR VICTIM'S DAD WINS $247M LAWSUIT VS. IRAN. New York Daily News. Retrieved from https://www.nydailynews.com/archives/news/terror-victim-dad-wins-247m-lawsuit-iran-article-1.789077

Skare, E. (2021). The Nature of PIJ's Violence. In E. Skare, A History of Islamic Jihad: Faith, Awareness, and Revoluitioin in the Middle East (pp. 90-94). Cambridge : Cambrigde University Press.

Skare, E. (2021). Deportation, Patronage, and Organizational Reform . In E. Skare, A History of Palestinian Islamic: Faith, Awareness, and Revolution in the Middle East (pp. 103-128). Cambridge: Cmabridge University Press.

Skare, E. (2021). Faith: The Conciliatory Movement . In E. Skare, A History of Palestinian Islamic Jihad: Faith, Awareness, and Revolution in the Middle East (pp. 129-143). Cambridge : Cambridge University Press .

Skare, E. (2021). PIJ and Hamas: From Enmity to Sibling Rivalry . In E. Skare, A history of Palestinian Jihad: Faith, awareness, and Revolution in the Middle East (pp. 94-100). Cambridge : Cambridge University Press.

skare, E. (2021). Revolution: PIJ, State and Civil Socciety . In E. Skare, A History of Islamic Jihad: Faith, Awareness, and Revolutions in Middle East (pp. 198-212). Cambridge : Cambridge University Press .

Skare, E. (2021). The Comeback of PIJ. In E. Skare, A History of Palestinian Jihad: Faith, Awareness, and Revolution in the Middle East (pp. 165-180). Cambridge: Cambridge University Press.

Toameh, K. A. (2015, May 21). Report: Iran stops cash flow to Islamic Jihad organization. Retrieved December 19, 2021, from The Jerusalem Post: https://www.jpost.com/Middle-East/Report-Iran-stops-cash-flow-to-Islamic-Jihad-organization-403727

Zedalis, D. D. (2004). Female Suicide Bomber. Strategic Studies Institute, US Army War College. Retrieved from http://www.jstor.com/stable/resrep11396

Zreik, R., & Mustafa, M. (2021). Religion, Politics, and Nationalism, A Case Study (The Palestinian Islamic Jihad Movement). In L. Medovoi, & E. Bentley, Religion, Secularism, and Political Belonging (pp. 155-173). Durham; London: Duke University Press.